# ს.ს.ი.პ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

# ბრძანება

N 2-73 18/02/2016 ქ. თბილისი

**„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 20 სექტემბრის N2-206 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 სექტემბრის N461 დადგენილებით დამტკიცებული „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში - სახელმწიფო პროგრამა) მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად განკუთვნილი ელექტრონული რეგისტრაციის ფორმა დანართი 1-ის შესაბამისად.
2. განმცხადებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა განისაზღვროს შემდეგნაირად:
   ა) ბიზნეს ოპერატორად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
   ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეთა რეესტრის ასლი;
   გ) ამონაწერი შემოსავლების სამსახურის ელექტრონული პორტალიდან;
   დ) ცნობა ფინანსური ინსტიტუტიდან, რომელიც ადასტურებს, რომ კოოპერატივს არ გააჩნია ვადაგადაცილებული საკრედიტო დავალიანება.
3. სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 29 თებერვლიდან 2016 წლის 16 მარტამდე.
4. მონაწილის მიერ უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული თანამონაწილეობის შესაბამისი თანხის კოოპერატივის ანგარიშზე არსებობის დამადასტურებელი საბუთის სააგენტოსთვის წარმოდგენა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 26 მარტისა.
5. რეგისტრაციის პროცესის წარმართვა დაევალოს სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს კოოპერატივების რეგისტრაციის სამსახურს.

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს - კონსტანტინე ხუციძეს.
7. ბრძანება ძალაში ხელმოწერისთანავე.

გიორგი მიშელაძე



თავმჯდომარე

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

# კოოპერატივის რეგისტრაცია

რეგისტრაცია

ავტორიზაცია

## კოოპერატივი

საიდენტიფიკაციო კოდი:

დასახელება:

იურიდიული მისამართი

მუნიციპალიტეტი

წევრთა რაოდენობა

სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის თარიღი

თვე/დღე/წელი

სტატუსის მინიჭების თარიღი

თვე/დღე/წელი

მაღალმთიანი რეგიონი

წესდება

## საკონტაქტო პირი

სახელი

გვარი

პირადი ნომერი

თანამდებობა

მობილურის ნომერი

+995 | 5XX XXX XXX

ელ-ფოსტა

შეცვალეთ კოდი

შეიყვანეთ ნახატზე მოცემული კოდი

ყველა ველი აუცილებელია. დოკუმენტაცია უნდა იყოს PDF ან dejavu ფორმატში და არ აღემატებოდეს 8mb. გთხოვთ მიუთითოთ მოქმედი/აქტიური ელ. ფოსტის მისამართი (გარდა www.mail.ru), რადგან რეგისტრაციის დასრულების შემდგომ მითითებულ მისამართზე ელ. შეტყობინების სახით გამოგეგზავნებათ username და პაროლი, რომელთა გამოყენების გარეშე თქვენ ვერ შეძლებთ პროგრამაში ჩართვას და სასურველი სკების მოთხოვნას

რეგისტრაცია

კონტაქტი

ქ.თბილისი 0160, ვაზისუბნის ქ.85

2 31 30 26

**სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო**

ჩემი პროგრამები

თაფლის პროგრამაზე რეგისტრაცია

ლაბორატორიაში გაგზავნილი ნიმუშები

სიახლეების არქივი

ხშირად დასმული კითხვები

## მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა

**ინფორმაცია სკების შესახებ**

* ვარსკვლავით მონიშნული ველები სავალდებულოა

კოოპერატივის საკუთრებაში არსებული სკების რაოდენობა *

**მოთხოვნილი სკის ტიპი** *

| მოთხოვნილი სკის ტიპი | მოთხოვნილი სკების რაოდენობა |
|---|---|
| ხის დადან ბლატის სკა (10 ჩარჩოიანი): | 0 |
| ხის რუტის სკა (10 ჩარჩოიანი): | 0 |
| პენოპოლისტიროლის დადან ბლატის სკა (10 ჩარჩოიანი) | 0 |
| თაფლის შესანახი ავზები | ☐ |
| თაფლის საწურები | ☐ |

**დოკუმენტაცია** *

◆ დოკუმენტაცია უნდა იყოს PDF [illegible] ფორმატში [illegible]

ბიზნეს ოპერატორად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

**ატვირთე ფაილი**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემავალთა რეესტრის ასლი

**ატვირთე ფაილი**

ამონაწერი შემოსავლების სამსახურის ელექტრონული პორტალიდან

**ატვირთე ფაილი**

ცნობა ფინანსური ინსტიტუტიდან, რომელიც ადასტურებს რომ კოოპერატივს არ გააჩნია ვადაგადაცილებული საკრედიტო დავალიანება

**ატვირთე ფაილი**

**რეგისტრაცია**

კონტაქტი

ქ.თბილისი 0160, ვაზისუბნის ქ.85

**2 31 30 26**